№ 42

შაბათი,

17 ოქტომბერი

1909წ.

# მომავალი

№ 42

შაბათი,

17 ოქტომბერი

1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი"

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ფასი:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **ოქტომბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 2 მ. 20 კ. თფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

Тифлисъ, тип. „Шрома", Калистрату Конст. Цуладзе.

კასიანე თედორეს ასული ბოკერიასი, ევგენი დიმიტრის ასული ბოკერიასი, დავით სიმონის ძე ბოკერია, ივანე, ვიკტორი, მიხეილი, თედორე მაქსიმეს ძე ბოკერიები, ლეონინე, ეკატირინე და ოლღა მაქსიმეს ასული ბოკერიასი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, გარდაცვალებას 12 ამ თვეს

**მაქსიმე ხახულის ძე ბოკერიას**

პირველი ძვირფას მეუღლისა, მეორე მამამთილისა, მესამე ბიძისა და დანარჩენების დაუვიწყარ მამისა. გასვენება კვირას, 18 ოქტომბერს, ნაშვადღევს სამ საათზე ქ. ქუთაისში. გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან, რომელიც იმყოფება მესხეთის ქუჩაზე. 2—1

წარმოდგენა 8. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 8.

**კვირას, 18 ოქტომბერს 1909 წელს**

ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** და **ს. სვიმონიძის** მონაწილეობით

**ორი ობოლი**

მელოდრამა 5 მოქ. თარ. **ა. ცაგარლისა.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი პ. შოთაძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, [illegible]

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ-დან 5 მ-დე, პარტერი 2 მ. 50 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: «სიძე სიმამრი», „დედის ერთა", „ქოჩრიანი ტოროლა", „იმედის დაღუპვა"

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დროებით საზოგადოების ადმინისტრაცია.**

თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტ. ეიხენვალდის გამგეობით დღეს პირველათ განახლების შემდეგ ე. გუმპერდინკის ოპერა 3 მოქმ.

**„ჰენზელ და გრეტელ"**

მუსიკალური დადგმა კ. დ. აგრენევ-სლავიანსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: არდი, ვოლსკისა, დე-კოს-სობოლევა, ელაგინა; როსტოვსკისა, ფერრარი; ბ-ნნი: ბარსოვი.

**ფასები ჩვეულებრივია.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ხვალ ორი წარმოდგენა: დილით ძლიერდაკლებულ ფასებში 1) გუნოს **„ფაუსტი"** და **„ვალპურგის ღამე"**. საღამოს მესამეჯერ **«ანდრეინნა ლეკუვრერ».**

ორშაბათს, 19 ოქტომბერს, იაფ-ფასიანი წარმოდგენა ოპ. **„ევგენი ონეგინი"**-ს პირველათ სცენაზე დადგმის დღიდან 25 წლის იუბილეის. დღეს დადგამენ „ევგენი ანეგინს". (0—10)

**ქართული** ავლაბრის თეატრი **წარმოდგენა № 4**

**შაბათს, 17 ოქტომბერს** 1908 წ. ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**დამარცხებულნი**

პიესა 5 მოქმ, ირეთელისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: რჩეულოვი, ქართველიშვილი, კავთელი; ბ-ნნი: სალაყაია, ჯიბლაძე, ქიზიყელი, გელიკურაშვილი, გომელაური, ბალაშვილი, მესხიძე, მაისურაძე, მარველოვი, რევაზოვი, გოჩიტაშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ადგილების ფასები 10 კ.-დან 80 კ.-მდე.

უმორჩილესათა ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შეიყვანენ და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინაამდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება.

(2—2) დირექცია **ამო. ხარაზიანი.**

**თფილისის კერძო საავადმყოფო**

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით. ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიევი ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო ა. გ.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტაშვილი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. გ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ., ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**პირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—11.

**სოგოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6—14)

**ვოგზლის კერძო საავადმყოფო**

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. გ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთშაბ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—14)

თფილისის წვრილ-ვაჭართა პროფესიონალური საზოგადოების

**მთავარი კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ წარსული წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე 23 **ოქტომბერი**—როდესაც საზოგადოების წევრნი—ვაჭარნი **მთელი თავისი ნავაჭრიდან წილს გადასდებენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოთ.** ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ კეთილ ინებონ და 23 **ოქტომბერს იმ ვაჭრებთან ივაჭრონ**, რომელთა სია ცალკე იქნება ამ დღეებში დაბეჭდილი. (0—2)

ქართული თეატრი

**შაბათს, 17 ოქტომბერს**, 1909 წ.

**„ფარსისა და კომედიის დასის"** მიერ წარმოდგენილი იქნება რუსულ ენაზე

**ფარსთა მეფე**

**ქალბატონი 23 №-სა**

(Дама изъ 23 №)

ფარსი 3 მოქ. თარგ. სამუროვისა.

მონაწილეობენ: ვ. ნ. მურატი, პ. ს. ნეჟდანოვი, მ. ი. ნიკოლაევი, ლ. პ. ვორონინი, ა. ვ. ივანოვი, პ. ა. არაქსიანი, ი. ი. გონეცკი. ი. ნ. გულიშამბაროვი, ი. ლ. ლევიჩი, ვ. ა. ლონინი, ნ. ი. ტომიცკი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

რეჟისორი **პ. ა. არაქსიანი**,

რეჟ. თანაშემწე **ვ. ა. ლონინი.**

კბილის ექიმი

**ი. შ. ჭანტურია**

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

კბილის ექიმი

**ს. ვაშაყმაძე**

ავათმყოფებს ღებულობს ახალ **ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა.

**კოოპერაცია**

(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

„სახალხო სახლი ძმათა ზუბალაშვილებისა"

**კვირას, 18 ოქტომბერს** დილის სრულ 11 საათზე **ა. ი. მალხაზიანი** წაიკითხავს ლექციას:

**გ. დ. ანუცციო და პ. ტეტმაიარის შესახებ.**

ბილეთები გაიყიდება სახალხო სახლის კასაში. 50 კ.-დან 5 კაპეიკამდე.

(3—2)

**იაფათ**

იყიდება **ს. ნიგოითში** (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვ- [illegible] გზა.

პირობების გაგება [illegible] გოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის" რედაქციაში ს. კ—ან. 0—თ—9

## იურიდიული დახმარება.

—

ჩვენ ბევრი რამე გვაკლია, თითქმის არაფერი არ გვაქვს; ჩვენი ცხოვრება ალალ-ბედზე წინ მიგორავს. ცხოვრების რომელი დარგიც აიღოთ, ადამიანის „ხელი" იქ არ გამოჩნდება. გზები, უკეთეს შემთხვევაში, გათლილი ბილიკებს წარმოადგენენ; სწავლა განათლება აქა-იქ ბჟუტავს; ავათმყოფის დახმარება და ავათმყოფობის მოსპობა არც სოფლათ და არც ქალაქებში თავის რიგზე არ არის დაყენებული; იურიდიული მხრით ხალხი უნუგეშო მდგომარეობაშია. მე აქ მინდა ვილაპარაკო ამ უკანასკნელ საგანზე. ამ დარგში ხალხი ყოველივე დახმარებას მოკლებულია, ყოველგან და ყოველთვის, სადაც მიიხედ-მოიხედ ოთ, რაც რამ გააკეთოთ, ერთი სიტყვით ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ კანონი დაგიხდებათ და ამის გვერდის ავლა დაუსჯელათ არ შეიძლება, ვინაიდან „არავის არ შეუძლია კანონების უცოდინარობით თავი იმართლოს",—ეს რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონების ერთ-ერთი შუაგული მუხლია. კანონის უცოდინარობას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მიუტევებს თავის წევრებს. ამას, რასაკვირველია, თავისი ლოღიკა, თავისი აზრი აქვს; წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია ყოველივე სისაძაგლე ჩაიდინოს და თავი კანონის უცოდინარობით იმართლოს. მაშასადამე, კანონი ყველამ უნდა იცოდეს; მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც შეუძლებელია ერთმა ადამიანმა იცოდეს ცხოვრების ყოველივე დარგი, ყოველივე კუნჭული. კანონი კი ცხოვრების სარკეა, მისი გამომხატველია, და რამდენათაც ცხოვრება რთულია, მრავალ-ფეროვანია, იმდენათ კანონი, ასე ვთქვათ, მრავალ-რიცხოვანია. ცხოვრება წინ მიდის, იცვლება მისი პირობები; შარა გზების მაგივრათ ჩვენ ვხედავთ ერთი-მეორესთან გადახლართულ მიხვეულ-მოხვეულებს. იცვლება წარმოების პირობები,—იცვლება საზოგადო ინტერესები და მოთხოვნილებები,—უნდა შეიცვალოს ამ შეცვლილი საზოგადოების სარკე—კანონი და მისი ადგილი ახალმა კანონმა უნდა დაიკავოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველ უვარგის კანონს აღარავინ არ ემორჩილება, ის ამის უშინაარსო ფორმაა. კანონიც იცვლება. ამ ცვლილებას კი თვალ-ყურის გდება უნდა და ეს კი ერთი ადამიანისთვის შეუძლებელია.

მაშასადამე, თუ კანონი რთული და მრავალ-რიცხოვანია, თუ ის მალი-მალ იცვლება, ამას უნდა მიუჩინოს ცხოვრებამ მთელი სპეციალური ჯგუფი ადამიანთა, რომლის დანიშნულება კანონის ცოდნა და იმის გამოყენება იქნება. და ეს ასეც მოხდა. ცხოვრებას აქვს ერთი თანდაყოლილი შეურყეველი, რკინის კანონი: მისი ბუნებრივი მოთხოვნილება უთუოდ უნდა დაკმაყოფილდეს; ადრე თუ გვიან, კარგათ თუ ცუდათ, მაგრამ მაინც უნდა დაკმაყოფილდეს. დაგვიანებულს ის მუჯლუგუნს სცემს და წინ მიაჩანჩალებს, ცუდს სწორ გზაზე დააყენებს. კანონების მცოდნე სპეციალური ჯგუფის დაარსებაც ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენდა და ისიც დაარსდა.

ეს ჯგუფი ადვოკატთა კორპორაციაა. ადვოკატ-იურისტი, არის ადვოკატ-აბლაკატიც,—ეს ის ადამიანია, რომელსაც კანონი აქვს შესწავლილი, მისი სული, მისი დედა-აზრი იცის; მან იცის, რისთვის არის ეს თუ ის კანონი გამოცემული, რა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს იგი, რა პირობებმა გამოიწვია ის და როდის და როგორ უნდა მოიხმაროს ის ადამიანმა. ბევრს გონია, რომ კანონი მარტო სჯის ურჩ მოქალაქეს და ამისათვის საჭიროა მხოლოდ იცოდეს კაცმა რა არ უნდა ჩაიდინოს მან, რომ კანონის სიმძიმე არ იგრძნოს. ეს შემცდარი აზრია. კანონი კი არ სჯის მხოლოდ, არამედ ის ადამიანთა შორის ურთიერთობას აწესრიგებს, ის ამასთან ერთად აჩვენებს თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს დამყარებული სახელმწიფოს და მის წარმომადგენელთა ერთი მხრით და მოქალაქეთა შორის, მეორე მხრით.

კანონების ცოდნას ერთი სიძნელე კიდევ თან დასდევს: ცხოვრების ზოგი მოვლენა არ არის ნათელი, აშკარა და მარტივი, ამისათვის მისი გამოხატული კანონიც ხშირათ ბუნდოვანი და მეტათ რთულია; ამ შემთხვევაში კანონს ახსნა ესაჭიროება, განმარტება უნდა, და ყოველივე ეს კი ზედმიწევნით მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია, მხოლოდ იმ ადვოკატ-იურისტს შეუძლია, რომელსაც კანონმდებელის აზრი და განზრახვა შეგნებული აქვს, იცის თუ რის თქმა უნდოდა კანონმდებელს ამა თუ იმ კანონის მუხლით,—რას კრძალავს იგი და ან რის მოქმედებას მოითხოვს მოქალაქესაგან. აქედან ცხადათ სჩანს, რომ ადვოკატ-იურისტის ასპარეზი ფრიად ფართოა, მეტათ ვრცელი და რთულია და ამისათვის მისი მოქმედებაც, მოღვაწეობაც ძლიერ ძნელია; მას ძლიერ ბევრი ცოდნა სჭირია.

შესაძლოა თუ არა ადვოკატმა სუყველა კანონები იცოდეს, მთელ კანონმდებლობას იცნობდეს? განა შეუძლია ერთ ადამიანს ცხოვრების ყოველი დარგი, ყოველი პაწაწინა კუთხე გაიცნოს! თუ კანონი ცხოვრების სარკეა, თუ კანონი შეიცავს მთელ ცხოვრებას, ერთ ადამიანს ამ კანონის ზედმიწევნით ცოდნა არ ძალუძს. საჭიროა სპეციალიზაცია, საჭიროა ერთმა კანონის ერთი მხარე შეისწავლოს, მეორემ—მეორე. თუ კი ექიმებს ესაჭიროებათ სპეციალიზაცია, ერთ რომელიმე დარგში დახელოვნება: ერთი შინაგან სნეულებას ექიმობს, მეორე თვალისას და სხ.—ამგვარი დახელოვნება ადვოკატებსაც სჭირიათ, თუ მათ საქმის ცოდნა სურთ და არა დილეტანტობა; არა მარტო თავიანთი ჯიბის სამსახური.

უნივერსიტეტში პროფესორებს იურიდიული საგნები დაყოფილი აქვთ: ერთი ასწავლის სისხლის სამართალს, მეორე სამოქალაქო სამართალს, მესამე ადმინისტრატიულ სამართალს და სხ. სტუდენტი ათავებს უნივერსიტეტს, იღებს იურიდიული ფაკულტეტის დიპლომს, იწყებს ადვოკატობას და რა საქმეც უნდა მიუტანოთ, ყოველივეს „დიდი სიამოვნებით" კიდებს ხელს, და ეს სიამოვნებაც მით უფრო მატულობს, რამდენათაც მეტ გასამრჯელოს მისცემთ. ვინ რა იცის, რომ ყველამ ყველაფერი არ იცის; ხალხმა რა იცის, რომ სამოქალაქო საქმის გამძღოლას სამოქალაქო სამართლის და მისი წარმოების წესის კარგი, დახელოვნებული ცოდნა უნდა; სისხლის სამართლის საქმეს ამ სამართლის და მისი წარმოების კარგი და დახელოვნებული ცოდნით აღჭურვილი იურისტი ესაჭიროება. ეს არ იცის ხალხმა; და აი ის მიდის და თავის იურიდიულ გაჭირვების დასახმარებლათ ადვოკატს კარებზე უკაკუნებს. კარი ყოველთვის გაიღება, და ყოველივე გაჭირვება ამ კარებს იქეთ „დამხმარებელს" პოულობს მიუხედავათ იმისა, თუ რას წარმოადგენს ეს გაჭირვება.

აბა მიდით პატიოსან თვალის ექიმთან და გულის ტკივილი შესჩივლეთ,—უთოდ მეორე სპეციალისტთან გამგზავნით. ადვოკატი მიწის გამიჯვნის საქმესაც „დიდი სიამოვნებით" აიღებს, კაცის მკვლელობასაც, იჯარით აღების ხელშეკრულების დარღვევასაც, ცოლ-ქმრის გაყრასაც. ერთი სიტყვით, მისი კაბინეტი იმ ევროპიელ დიდ მაღაზიას მოგაგონებს, სადაც შეიძლება მთელი სახლის მოწყობილობის ყიდვა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ნაყიდი ნივთი შეიძლება კარგი გამოდგეს და იძულებული დახმარება კი თვით დახმარებას მოითხოვს. ხალხმა კი,—უბრალო ხალხმა კი არა მარტო, არამედ ეგრედ წოდებულმა განათლებულმა ხალხმაც,—არ იცის, რომ ის ნაცვლათ პურისა ქვას ღებულობს და ძლიერ ხშირათ უკუღმართი საქმე სწორ გზაზე დგება, სამართლიანი კი სამართალს ვერ პოულობს. ხშირათ, ძლიერ ხშირათ უდანაშაულო კაცი იღუპება, დამნაშავე კი პირწმინდათ გამოდის სასამართლოს

დარბაზიდან. ადვოკატები ყოველგვარ საქმეებს ეპოტინებიან და ხეირიანათ ვერც ერთს ვერ უძღვებიან. ამისათვის აუცილებლათ საჭიროა ადვოკატთა შორის სპეციალიზაცია. მაგრამ მარტო ეს ხალხის გაჭირვებას ვერ უშველის. ხალხი თვით უნდა იცნობდეს ცოტათი მაინც კანონმდებლობას, ამისათვის კი კანონების პოპულიარიზაციაა საჭირო. ხელმისაწდომი და ადვილათ გასაგები წიგნები უნდა გამოიცეს, საჯარო ლექციები უნდა იკითხებოდეს, იურიდიული დამხმარებელი ბიუროები უნდა დაარსდეს როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებშიაც. ყოველივე ამის მოწყობა უნდა იკისრონ ქალაქის და სოფლის თვითმართველობებმა, ამავე საგანს ყური უნდა ათხოვონ და დახმარება აღმოუჩინონ სხვადასხვა განმანათლებელმა დაწესებულებებმა.

ამ საქმის მოწყობა უფრო ძნელია სოფლათ, მაგრამ მომავალ ერობას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ხალხს სოფლათ ამ დარგში. და თუ დღეს ხალხს იურიდიული დახმარება სრულებით არსაიდან არ აქვს, ან ეს დახმარება ეგრეთ წოდებულ აბლაკატების ხელშია ჩავარდნილი, მომავალში მას ეს დახმარება აღმოუჩნდება და ნამდვილი იურისტები იქნებიან დამხმარებელნი. მხოლოდ არა ნაკლებ საჭიროებას წარმოადგენს თვით ადვოკატ-იურისტთა ზნეობრივი სისუფთავე და გონებრივი ამაღლება, რომ სიტყვა: „კლიაუზნიკი“ და „ადვოკატი“, რომელთაც ხალხი თითქმის ყოველთვის ერთათ ხმარობს, ერთი მეორეს დაშორდენ, და ის დიადი დანიშნულება, რომელიც ადვოკატურის იდეაშია, ცხოვრებაში პრაქტიკულათ განხორციელდეს და ადვოკატიც მართლაც მაშვრალთა დამხმარე და ჭეშმარიტების მაძიებელი შეიქნეს.

იკა

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ოქტომბერი.

### საზღვარ-გარეთ

**ლონდონი.** „ტაიმს“ დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: გაზეთების უმრავლესობა დამშვიდებით მსჯელობს იტოს მოკლის შესახებ. მათი სიტყვით კორე- [illegible] მეგობარი.

**სოფია.** სკუპშჩინის ჩვეულებრივ კრების გახსნის დროს მეფე ფერდინანდმა წაიკითხა სეფე სიტყვა და ის აზრი გამოსთქვა, რომ გასული წლის ამბების შემდეგ მთავრობა ყოველ ზომებს ხმარობს ბულგარეთის საერთაშორისო მდგომარეობის განსამტკიცებლათ. მთავრობა აგრეთვე სცდილობს ქვეყნის ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. შემდეგ მეფემ აღნიშნა, რომ რუსეთმა პირველმა აღიარა ბულგარეთის დამოკიდებულობა. დასასრულ მეფე მადლობას უცხადებს ყველა სახელმწიფოებს, რომლებმაც რუსეთთან ერთათ აღიარეს ბულგარეთის დამოუკიდებლობა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში კონსერვატორი დენნიკი შეეკითხა ადმირალტეისტვის პირველ ლორდს მაკკენს, მართლა დაიკარგა ახალი კრეისერის საიდუმლო ნახატი და იმედი აქვს თუ არა ადმირალტეისტვოს დაიბრუნოს ის. მაკკენმა უპასუხა, რომ ნახატი დაიკარგა, მაგრამ მისი დაბრუნების იმედი არ არის და არც საჭირო იქნებაო.

**ვეკშე** (შვეცია). დაიწვა უმწეოთა თავშესაფარი. ცეცხლში დაიღუპა ექვსი ქალი.

### რუსეთი.

**ორიოლი.** ლივენსკის მაზრის სოფელ სტუდიონი კოლოდეცში გაძარცვეს სახელმწიფო არყის დუქანი. მოკლეს ნოქარი და სტოროჟი.

ტაუებოვსკის საერობო კრებამ დაადგინა ააშენოს სკოლა და გაუდიდოს მასწავლებლებს ჯამაგირები 60 მანეთამდე. გადასდვეს ფულები სახალხო წიგნთ-საცავის, საკვირაო და საეკლესიო-სამრევლო სკოლებისთვის.

**ნოვგოროდი.** საღამოს, სამი მძარცველი თავს დაესხა საქალებო საქონლის მაღაზიას. მძარცველებმა ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს, მძიმეთ დასჭრეს მაღაზიის პატრონი და გაიქცენ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დუმის მიწების კომისიამ განიხილა თავის ქვემო კომისიის წინადადება ნება მიეცეთ ევროპის რუსეთის უმიწო გლეხებს უფასოთ ისარგებლონ სახაზინო მიწებით და მიიღო მთავრობის კანონ-პროექტი ასეთი მიწები გაეყიდოს გლეხებზე.

სასამართლოს რეფორმების კომისიამ მოიწონა საკანონმდებლო წინადადება სახელმწიფო და საზოგადოებრივ მშვიდობიანობისთვის მავნე პირთა ადმინისტრატიულ წესით გაგზავნის შესახებ, კომისიამ სასურველათ სცნო მოისპოს საზოგადოთ ადმინისტრატიულათ გადასახლება.

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა ყუბანის ოლქის ჯარის ატამანის როდიონოვის შვილის საკასაციო საჩივარი და გააუქმა პალატის განაჩენი, რომლითაც როდიონოვს ერთი წლის ციხე ქონდა [illegible] პროკლამაციები გავრცელებისთვის.

**...ევი.** სადგურ დროკია და ტირნოვის შუა საქონლის მატარებელი ხარს დაეჯახა. ორთქლ-მავალი ლიანდაგიდან გადავარდა, დაზიანდა 15 ვაგონი. სასიკვდილოთ დაიჭრა უფროსი კონდუქტორი, მძიმეთ კონდუქტორი და „სმაზჩიკი“ გზა გაფუჭდა.

**ივანო-ვოზნესენსკი.** სუზდალსკის მაზრის სოფელ დანკოვში დაიწვა ასამდე სახლი, ქვის ეკლესია და მაღაზია. ზარალი 200,000 მანეთამდეა.

**პეტერბურგი.** საღამოს გოროხოვის ქუჩაზე სახლში № 25 სიბინძურის ჩასადენ არხში აფეთქდა ყუმბარა. დაიჭრა იქვე ახლოს მდგომი დურგალი, სახლის მინები დაიმტვრა და ტელეფონის და ელექტრონის მავთულები გაფუჭდა.

**პეტერბურგი.** 15 ოქტომბერს ადგილობრივ მეურნეობის საქმეთა საბჭოს საზოგადო კრებაზე განიხილეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტი პოლონეთის ქალაქების მართვა-გამგეობის შეცვლის შესახებ. კრების გახსნისას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინმა სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა: „პროექტის შედგენის დროს სამინისტრო ხელმძღვანელობდა მით, რომ მიენიჭებია პოლონეთის ქალაქებისთვის თვით-მართველობა, იმ სახით, როგორათაც რუსეთის სხვა ქალაქებშია. სამინისტრომ თავის პროექტს საფუძვლათ დაუდვა 1892 წლის საქალაქო ცებულება. ამასთანავე იმ ადგილებში, სადაც პოლონელები მეტი არიან, რომ ავტონომიურ მისწრაფებას თავი არ ეჩინა, სამინისტრომ მიანიჭა უფლება რუსეთის მოქალაქეებს მიიღონ მონაწილეობა ქალაქის თვითმართველობაში, მიუხედავათ უმრავლესობის სურვილისა. განზრახულია ქალაქის ამომრჩეველნი სამ კურიათ გაიყოს: პირველი—რუსები, მეორე—ებრაელები და მესამე—დანარჩენი მცხოვრებნი. თუ ამ ზომას არ მივმართეთ, რუსები სულ არ მოხვდებიან ქალაქის საბჭოებში და ყველა ადგილებს თითქმის ებრაელები დაიჭერენ, რადგანაც ისინი რიცხვით ყველას სჭარბობენ. მათი რიცხვი ქალაქის საბჭოებში კი არ უნდა აღემატებოდეს დუმის მთელ შედგენილობის ერთ მეხუთედს. რომ ბინის დამქირავებლებს ხმა ექნეთ, საჭიროა იმათი საქალაქო გადასახადების გადამხდელებათ გახდომა, განზრახულია სახელმწიფო საბინო გადასახადს მიემატოს საქალაქო საბინო გადასახადი. თვითმართველობის ორგანოები უნდა შეცვლილი იქნენ. შემდეგ პროექტი აყენებს ახალ პრინციპს—ქალაქების სრულ დამოუკიდებლობას მათ მიერ კანონიერი მიღებულ ზომების ფარგლებში, გუბერნატორის უფლებით, რომ დაუყონებლივ შესრულებულათ იქნას ყველა დადგენილებები, როცა ქალაქები უარს ამბობენ შესრულებაზე. უკეთუ კიდევ გაჯიუტდენ ქალაქები ნება მიეცეს მთავრობას ხელეწიფე იმპერატორის ნებართვით დაითხოვონ ქალაქების საბჭოები. დასასრულ საქმის პოლიტიკურ გართულების მოლოდინით მთავრობას უფლება ეძლევა საჭიროების დროს უმაღლესი ნებართვით ქალაქის თვით-მართველობები არა უმეტეს სამი წლისა მთავრობის სამმართველოებით შესცვალოს. დასასრულ პროექტის განსაკუთრებული მხარეა ის, რომ თვითმართველობათა საქმის წარმოებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენა, ხოლო მასთან ერთათ ნება დართულია შინაურ საქმეთა წარმოებაში იხმარონ პოლონური ენაც. იმედი მაქვს—დაასრულა პრემიერ-მინისტრმა—რომ თქვენი შრომა და ამ კანონის ცხოვრებაში გატარება აშკარათ დაგვარწმუნებს, რომ პოლონელებს კეთილი მისწრაფება აქვთ ისარგებლონ თვითმართველობის ნაყოფით, რომლის უფლება მათ აქვთ, რომ ისინი ამ თვითმართველობას პოლიტიკურ ბრძოლის იარაღათ არ გამოიყენებენ, პოლიტიკურ ავტონომიის მოსაპოებლათ.

**პეტერბურგი.** 16 ოქტომბერს, დუმის სხდომაზე განაგრძობენ მიწების მოწესრიგების შესახებ კანონ-პროექტის განხილვას და წაიკითხავენ კომისიის მოხსენებას სასამართლოების რეფორმების შესახებ. საღამოს სხდომაზე განიხილავენ კომისიის მოხსენებას ურალის ქარხნების შეკითხვების შესახებ და მინისტრების განმარტებებს პროფესიონალურ კავშირების დევნის შესახებ.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 11, მოკვდა 6, ავათ არის 238.

**კასტრომა.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 6, მოკვდა 4.

**სამარა.** ავათ აღარავინ გამხდარა. სამთვეში ავათ გახდა 167, მოკვდა 110.

# უკანასკნელი ფოსტა

### რუსეთი

**ორი მოსწავლის ტრაღიკული სიკვდილი.** ამ დღეებში ქ. ვლადიმერში საზარელი სურათი დატრიალდა. თავის მოკვლა განიზრახეს გიმნაზიის მე-7 კლ. მოსწავლემ შესტერნიკოვმა და ქალთა გიმნაზიის მე-8 კლ. მოსწავლე ქალმა პეტროვამ. ახალგაზრდებს ჯერ მატარებლის ბორბლებში ჩავარდნა სურდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. შემდეგ რევოლვერი იშოვეს და ერთ მაღლობ ადგილზე გადასწყვიტეს წუთის სოფლის გამოსალმება. 6 ოქტომბერს მწყემსი შემთხვევით წააწყდა მათ გვამებს. სონას თავი ქონდა ტყვიისაგან გახვრეტილი და უსულოთ იდო. მის გვერდით იყო სირიოჟაც მთლათ სისხლში მცურავი, მაგრამ ცოცხალი. მოსწავლე საგუბერნიო საავათმყოფოში გაგზავნეს.

**კრუპენსკი და პურიშკევიჩი ფინლიანდიის შესახებ** ფინლიანდიის შესახებ პ. ნ. კრუპენსკის უთქვამს: „ჩემი აზრით, ფინლიანდიისათვის სამხედრო ბეგარის მოხდის მაგიერ ათი მილიონი მანეთის გადახდევინება ძალიან ცოტაა. ამ განაპირა მხარეს 40—50 მილიონი მანეთი მაინც უნდა გადავახდევინოთ, თუ სამართლიანათ გვსურს მოქმედება“.

„მე მხოლოდ მაშინ დავეწყნარდები—უთქვამს პურიშკევიჩს, როდესაც ფინლიანდიის სეიმი სრულიად მოისპობა და ფინლიანდიის დეპუტატები თავრიდის სასახლეში დასახლდებიან—გადამწყვეტი ხმის უფლებით კი არა, არამედ სათათბირო ხმით“.

**გაზეთების თანამშრომლების გაჩხრეკა.** ათ ოქტომბერს, როდესაც სტოლიჩნის და პროვინციალური პრესის თანამშრომელნი გერცენშტეინის პროცესიდან ბრუნდებოდენ, სადგურ ბელოოსტროვზე ისინი ჟანდარმებმა გაჩხრიკეს. ამავე დღეს პოლიციამ ფინლიანდიის საზღვარზე ოთხი კაცი დაატუსაღა. მათ აღმოაჩნდათ იარაღი, რევოლიუციონური ლიტერატურა და ზოგიერთ გამოჩენილ პირთა ფოტოგრაფიული სურათები.

**600 მუშის დათხოვა.** კოლომენის მანქანების საშენებელ ქარხნებში წარმოება ძალიან შემცირდა, ვინაიდან ხაზინა ამ უკანასკნელ დროს არაფერს უკვეთს. ამის გამო ქარხნების გამგეობამ 600 მუშა დაითხოვა.

**საიდუმლო მკვლელობა.** რამოდენიმე დღის წინათ პეტერბურგში უცნაური მკვლელობა მოხდა. ლეშტუკოვის ქუჩაზე ბოროტ გამზრახველებმა ვიღაც უცნობს თავი მოსჭრეს, პირისახეზე ტყავი გადააძვრეს და დასახიჩრებული დასტოვეს ოთახში. მკვლელობის მეორე დღეს ობუხოვის საავათმყოფოში მივიდა სტუდენტი ა. ა. გილევიჩი და განაცხადა: „ჩემი ძმა დაიკარგა. მოკლულის გვამი მიჩვენეთ, შეიძლება ჩემი ძმა იყოსო“. სტუდენტს მოკლულის ფოტოგრაფიული სურათი უჩვენეს. მან სურათის დანახვისთანავე მწუხარებით დაიყვირა: „ოხ, საცოდაო ძმაო,—ეს შენა ხარ! მე შენ კარგათ გცნობილობ! საზიზღარ მკვლელს რა საშინლათ დაუმახინჯებია შენი სახე!“. შემდეგ სტუდენტს მოკლულის გვამი უჩვენეს. „ეს ჩემი ძმის—ინჟენერ გილევიჩის გვამია, განაცხადა დამშვიდებული ხმით სტუდენტმა, ის ალბათ იმიტომ მოკლეს, რომ ოცი ათასი მანეთი წაერთმიათ, რომელიც მას ქონდა“. საიდუმლო პოლიციის აგენტებმა კითხეს: „ასე უკვათ როგორ იცანი დამახინჯებული ძმის გვამიო“? გილევიჩმა უპასუხა: „ჩვენ ხშირათ დავდიოდით ერთათ აბანოში, მე კარგათ ვიცი ჩემი ძმის ტანის ნიშნები: ეს ნამდვილათ ჩემი ძმაა“.

საქმე ამით გათავდა,

გავიდა რამდენიმე დღე და სულ სხვა კვალს წააწყდა პოლიცია. აღმოჩნდა, რომ ინჟენერი გილევიჩი ცოცხალია და ის პეტერბურგში უნახავს ერთ მის მეგობარს. ეს ამბავი ტრამვაის ვაგონში მომხდარა. მეგობარი გილევიჩის დანახვაზე განცვიფრებულა და უკითხავს: „როგორ, შენ ცოცხალი ხარ განა? შენ აკი მოგკლეს“? გილევიჩი ამ მოულოდნელი კითხვებით დაბნეულა, სახე გაფითრებია და გაქანებული ვაგონიდან ძირს გადმომხტარა, პირველ შეხვედრილ ეტ-

# წერილები პეტერბურგიდან

## II.

### სახელმწიფო დუმის სოც.-დემ. ფრაქციის სხდომა.

(დასასრული *)

მესამე შეკითხვა შეეხება ახალ მინისტრის ტიმირიაზევის მოღვაწეობას. ეს მინისტრი, ხომ დიდ ლიბერალათ ითვლება: ნამდვილი კადეტიაო, ამბობენ! გახსოვთ, რასაკვირველია, მისი საპროგრამო „რეჩი“ სათათბიროში! რაები მან არ თქვა, რას არ შეპირდა მუშა ხალხს! მუშა ხალხის კეთილდღეობა, მისი უფლებების გაფართოება, ეს ჩემი ყოველდღიური ზრუნვის საგანია, ამაზე ვფიქრობ და ვიმტვრევ თავს ყოველ წამსო, არწმუნებდა ქვეყანას ის.

უნდა მართალი სთქვას კაცმა, ჩინებულათ აღასრულა აღთქმა ამ მინისტრკადეტმა. როცა ტიმირიაზევი მინისტრათ დანიშნეს, რუსეთში პროფესიონალური ორგანიზაციები განადგურებული იყო. ასე რომ, უარეს აღარავინ მოელოდა. აღმოჩნდა, რომ ახალი მინისტრი სხვაზე უკეთესი მაძებარი ყოფილა. მან კიდევ გამოძებნა თუ სადმე იყო ნაშთი პროფესიონალური კავშირების და ბოლომდის გაანადგურა, მაგრამ ტიმირიაზევი დიდი ენერგიის კაცია: მას არ ეყო საქმეთ კავშირების დაწიოკება, ამიტომაც მან სხვა საქმე მონახა, რომ მუშები „გაებედნიერებია“! 2 ივნისს 1903 წლის კანონი უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის შესახებ ამბობს:

„§ 7. პენსიათ დაენიშნება მუშას, თუ ის უბედურ შემთხვევის დროს შრომის უნარს სრულიად ჰკარგავს—წლიური ჯამაგირის ორი მესამედი, თუ სავსებით არ კარგავს შრომის უნარს, იმ შემთხვევაში—ნაკლები, რომელიც უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რამდენათ დაჰკარგა მუშამ შრომის უნარი“.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება მუხლის მეორე ნაწილს. როდესაც მუშა უბედური შემთხვევის გამო სულ არ კარგავს მუშაობის შეძლებას, მაშინ მას ენიშნება პენსია არა ორი მესამედი წლიური ჯამაგირის, არამედ ნაკლები, მაგრამ როგორი ნაკლები? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ დაშავდა მუშა რა ცვლილება შეაქვს მინისტრის ცირკულიარს ამ ნორმაში? ის სავალდებულოთ ხდის, რომ ისეთ შემთხვევაში, როცა მუშა სავსებით არ კარგავს შრომის უნარს, მას დაენიშნოს პენსია არა მთელი ჯამაგირიდან, არამედ ჯამაგირის ორი მესამედიდან. განსხვავება თავისთავათ ცხადია.

მეორე ცირკულიარი ასეთია: კანონით ინსპექციის მოხელეები ვალდებულნი არიან შეადგინონ ოქმი, როცა დაინახავენ, რომ რომელიმე მხრით კანონი დარღვეულია. ახალი ცირკულიარი განმარტავს, რომ ოქმი არ არის საჭირო, როცა კანონი ირღვევა იმის გამო, რომ ეს კანონი ვერ შეუგნიათ მათ, ვისაც ჯერ არს, ან იმის გამო, რომ ამ კანონის სისრულეში მოყვანას ელობება რომელიმე საპატიო მიზეზი.

სანამდი მიდის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მზრუნველობა მუშებისადმი. ვის არ გაუგონია ასეთი აზრი: კანონის უცოდინარობით თავს ვერვინ იმართლებს. ეს ყველას გაგონილი აქვს და ყველას სამართლიანათ მიაჩნია. მართლაც, წარმოიდგინეთ, რომ კანონის არ ცოდნა, ნებას აძლევს ვისმეს ეს კანონი გადალახოს და დაარღვიოს. ეს ხომ კანონის სრული უარყოფაა. ეს, რასაკვირველია, ტიმირიაზევმაც იცის და მისმა სამინისტრომაც, მაგრამ როცა საქმე შეეხება კაპიტალისტებს, მაშინ კანონიპს მხოლოთ ის, რაც მოუხდება მწარმოებელს, „ხაზეინს“. თუ მიიღეთ მხედველობაში, რომ რუსი ვაჭარი და მწარმოებელი მართლაც, უმეტეს შემთხვევაში, უვიცი და გაუნვითარებელია, რომ მას არც კანონი გაეგება და არც თავისი მოვალეობა, ცხადია, რომ ტიმირიაზევის ცირკულიარი სავსებით ალვირს ხსნის რუსის ველურ, მტაცებელ მწარმოებელს და მის თვითნებობას ყოველგვარ საზღვრებიდან ათავისუფლებს. მეორე მოტივი კიდევ უკეთესია: თუ კანონის ასრულებას ელობება რომელიმე საპატიო მიზეზი! ახლა გვიბრძანეთ: რა არის ეს საპატიო მიზეზი? ყველაფერი რაც უნდა „ხაზეინს“. დიახ, ასე ცდილობს მთავრობა შექმნას პირობები შრომის კულტურული წარმატების და განვითარების! როცა ამის შემდეგ მუშებისადმი საყვედური გესმის, ზიზღის მეტი, ვგონებ, არაფერი დაგვრჩენია მათდამი.

მესამე ცირკულიარი ნებას იძლევა დადგენილი იქნეს, რომ სამრეწველო დაწესებულებაში შესვლა შეიძლება მხოლოდ დანიშნულ დრომდე; თუ მუშა ამ დროს არ მივიდა, ის შეიძლება აღარ შეუშვან ქარხანა-ფაბრიკაში.

მოყვანილი ცირკულიარები განმარტებას აღარ საჭიროებენ და ჩინებულათ ახასიათებენ ახალი მინისტრის და აგრეთვე ბიუროკრატიის პოლიტიკას.

მუშა კლასის შეკვრა-შებოჭვა—აი აზრი ამ პოლიტიკის. შეჰკარ, შეიპყარ,—ასეთი იყო ლოზუნგი მუშების შესახებ განმათავისუფლებელ მოძრაობამდე. მუშას კრავდენ, ბორკავდენ, მთელი საუკუნოების განმავლობაში ბაწრებს და ჯაჭვებს უჭერდენ იმას ვინც ქვეყანას არჩენდა თავისი შრომით. მოთმინებიდან გამოსული, შევიწროებული, დატანჯული მუშა ბოლოსაც იყო დაიძრა, შეიწყვიტა ჯაჭვ-ბაწარი, იშიშვლა ხელები და გაიქნივ-გამოიქნივა მძლავრი მარჯვენი.

ვის ცხვირ-პირს მოხვედროდა უპირველესად პროლეტარიატის განთავისუფლებული (დროებით) ხელი? რასაკვირველია ყოველი ექსპლოატატორისას! ექსპლოატატორი შეძრწუნდა, ხმა გაიკმიდა და სადღაც მიიმალა. დღეს ის გონზე მოვიდა და გაიძახის: ამათ, ბატონო, ამ მუშებმა დაგვღუპეს, მათ გაგვაკოტრეს, მრეწველობა შეჩერეს, ვაჭრობა მისპეს, ფული გააქვეს და სხვა. ამიტომაც მოუჭით, მოუჭით მაგათ, ძალზე! გაისმის ყველგან და ბიუროკრატიაც სიხარულით ასრულებს ამ ლოზუნგს. ის დღითი-დღე უჭერს მუხრუჭს მუშას. ეს რასაკვირველია, ასე გაგრძელდება, სანამ არ შეიგნებს მშრომელი ხალხი საქმის ვითარებას.

რა მნიშვნელობა ექნება ამ შემთხვევაში ჩვენ შეკითხვას?. ის, რომ რუსეთის მოქალაქე, ერთჯერ კიდევ დააჭყეტს თვალს და დაინახავს, როგორ უჭერენ ჯაჭვს მუშას. ჩვენ ამით განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმათსაც, ვინც ყოველ გვარი უბედურების წყაროს მუშებში ეძებს. მე მგონია, ჩვენ კიდევ მალე დაუპირდაპირდებით ასეთებს და მაშინ მოვაგონებთ ტიმირიაზევის ცირკულიარებს. დღეს კი ჩვენის შეკითხვით ამ ცირკულიარებს შევიტანთ ექსპლოატატორების დავთარში იმ გვერდზე, სადაც სწერია: როგორ უსპობდა ბიუროკრატია მუშა ხალხს ყოველ გვარ კანონიერ საშუალებას არსებობისთვის ბრძოლაში 1909 წელს. თუ ამ მიზანს მიაღწია შეკითხვამ ესეც არ იქნება ვგონებ, უნაყოფო.

—

მოგეხსენებათ ალბათ, რომ მთელი ურალის მხარე პოსესიონერების ხელშია. ეს მხარე მადნეულობით რუსეთის უმდიდრესი ნაწილია, მთელი სიმდიდრით პეტრე პირველისშემდეგ დღემდის სარგებლობენ შუვალოვები და სხვა გამოჩენილი გვარები ბრწყინვალე წოდებისა. საუკუნოების განმავლობაში პოსესიონერებს არ მოკლებიათ მთავრობის წყალობა და ყურადღება. რა გზითაც გნებავთ ხელს უწყობდენ მათ, რომ მადნეულობის წარმოება განევითარებიათ. ფული, მუშა ხალხი მილიონობით, რომელიც სპოსესიო ბინებზე ცხოვრობდა და მიწერილი იყო რომელიმე ქარხანაზე, ურიცხვი სა-

*) იხ. „მომავალი“ № 40.

ლში ჩამჯდარა და მოუქუსლავს. ამ შემთხვევის შემდეგ სტუდენტი გილევიჩიც დამალულა. სამი დღის შემდეგ პოლიციამ დაატუსაღა სტ. გილევიჩი. შეკითხვაზე გილევიჩი არეულ პასუხს იძლევა. ეჭვი არ არის სტუდენტი გილევიჩი მკვლელობაში მონაწილეობას იღებდა ძმასთან ერთათ. გამოირკვა, რომ სისხლიანი ხანჯალი, რომელიც მოკლულის მახლობლათ იპოვეს, სტუდენტ გილევიჩს უყიდია ენკენისთვის უკანასკნელ რიცხვებში ერთ მემალაზიესთან. მაშასადამე, მკვლელობა დიდი ხნის განზრახული ყოფილა. მხოლოთ გამოურკვეველია: უცნობი მარტო ინჟენერმა მოკლა, თუ სტუდენტიც იქ იყო მკვლელობის დროს.

სტუდენტ გილევიჩს გაჩხრეკის დროს დამზღვევ საზოგადოების პოლისი აღმოაჩნდა. თავის ძმის ვითომდა სიკვდილის შემდეგ მას 100,000 მანეთი უნდა მიეღო ამ პოლისით.

**ქ. სემიპალატინსკის გმირები.** ქ. სემიპალატინსკიდან გაზეთ „რეჩ“-ში შემდეგი წერილია მოთავსებული: წელს ჩვენს ქალაქში გაიხსნა „მაძებარი პოლიციის“ განყოფილება, რომლის ხელმძღვანელებმა ჩქარა გაითქვეს სახელი თავიანთ გმირობით. როგორც იქ ნამყოფი ტუსაღები გვიამბობენ, განყოფილების უფროსს კუტახოვს შემოუღია ნამდვილი წამება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ პოლიციის ზოგიერთი ბოქაულები. დაჭერილები ღამით გაჰყავთ ქალაქ გარეთ და, რომ გამოსტეხონ საშინლათ აწამებენ, სცემენ, ასწევენ მაღლა და ახეთქებენ მიწაზე, ახრჩობენ და სხვა. დაუჯერებელი ხმებია გავრცელებული რეზინების და რაღაც ინსტრუმენტების შესახებ. რამდენიმემ მიმართა თხოვნით პროკურორს, მაგრამ პასუხს ჯერ ვერავინ ღირსა. კუტახი და კამპანია განაგრძობენ თავის საგმირო საქმეს და დაცინვით ეუბნებიან თავიანთ მსხვერპლს: თუ გინდა „არქიელთან“ გვიჩივლეო. ყველაზე მეტათ აღაშფოთა ქალაქის მცხოვრებნი ერთი ვაჭარის დაჭერამ, რომელმაც პროკურორს მიმართა. ექიმების შემოწმებით სავსებით დამტკიცდა მისი საჩივარი. ამ ვაჭართან ერთათ დაუჭერიათ ვიღაც კაცი, რომლის დედას შეუტყვია თუ არა შვილს სცემსო პროკურორისთვის მიუცია თხოვნა. გაუაგია თუ არა ეს შვილს, საქმის გამოძიებამდე განცხადება შეუტანია, რომ მისი დედა სტყუოდა და მისთვის არავის უცემნია. განთავისუფლების შემდეგ მან განაცხადა, რომ განცხადება კუხტარმა ძალათ დააწერია, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა. ზოგიერთი ყოფილი ტუსაღები იმდენათ შეშინებული არიან, რომ გასაკვირი არ იქნება უარი სთქვან მის წინააღმდეგ ჩვენებაზე.

**საზღვარ-გარეთ.**

**მაურას გადადგომის გამო.** როგორც ვიცით, ისპანიაში ძველი სამინისტრო თავისი პრეზიდენტით მაურათი უკანასკნელი ამბების გამო იძულებული გახდა სამსახურიდან გასულიყო. ბარცელონაში მაურას სამსახურიდან გადადგომას საერთო კმაყოფილება გამოუწვევია. ისპანიის ლიბერალური და რესპუბლიკანური გაზეთები სიხარულით ეგებებიან ახალ მინისტრს მორეტს და ნამდვილ დემოკრატიულ პოლიტიკის გატარებას მოითხოვენ მისგან. გაზეთებს იმედი აქვთ, რომ ახალი კაბინეტი ბოლოს მოუღებს ისპანია-მაროკოს საკითხსაც.

# აგენტების და ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზეთმა „მომავალმა“ შესწყვიტა კავშირი ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „სორაპანთან“, რომლის წარმომადგენელია ბ-ნი მ. გაჩეჩილაძე და აგენტურა უკვე გადასცა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სააგენტოს იაკოვლევისას, რომლის რწმუნებულია **ვ. ა. რუკოვიჩი.**

ვისაც სურს ჩვენი გაზეთის აგენტობა პროვინციებში, უნდა მიმართოს მას შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Боржомская 5, кв. 1. В. А. Руковичу.

„მომავლი“-ს საკუთარმა აგენტმა გაზეთი მოიკითხონ რკინის გზის შკაფის აგენტებთან.

**„მომავლი“-ს რედაქცია.**

## ახალი ამბები

**თფილისის ტრამვაი.** 16 ოქტომბერს ტრამვაის დირექციამ დაითხოვა 18 კანტრალიორი და 8 კანდუქტორი, რადგანაც დირექციის მიერ წარდგენილ ლებონის მიერ შემუშავებულ პირობებს არ მოაწერეს ხელი. დირექციის განცხადებაში ნათქვამია, ვისაც არ სურს და ხელს არ მოაწერს ახალ პირობებს, იგი დათხოვნილი იქნება და ჯილდოსაც ვერ მიიღებსო. ტრამვაის ყველა მოსამსახურენი ძალიან აღელვებული არიან დირექციის ასეთი მოქმედებით და ადგილობრივ ადმინისტრაციას აცნობეს, რომ თუ ვინიცობაა გაფიცვა მოხდა, ამაში დირექცია იქნება პასუხისმგებელი და არა ჩვენ, მოსამსახურეებიო. დირექტორი დანარჩენ მოსამსახურეებსაც დათხოვნით ემუქრება.

**✦ ჩამოხრჩობა.** 14 ოქტომბერს, კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა თელავის მაზრის სოფ. შილდას მცხოვრებს ილია ასაბაშვილს, თფილისის მაზრის სოფ. საგარეჯოს—გიორგი შაქარაშვილს, თელავის მოქალაქეს ალექსი არუთიუნოვს და რაჭის მაზრის სოფ. ვალევის მცხოვრებს ივანე ქელბაქიანს. მათ ბრალდებოდათ შარშან, 4 ივლისს, თელავის მცხოვრების მიხეილ ტერ-არუთიუნოვის გატაცება, რომლის გამოსასყიდათ მშობლებს მოთხოვეს 20 ათასი მანეთი, მარა მოლაპარაკების შემდეგ აიღეს 800 მან.

**✦ ილიას საღამო.** 27 ოქტომბერს ქართულ თეატრში გაიმართება ჩვეულებრივი საღამო ილიას მოსაგონებლათ. საღამოს შემოსავალი გადაიდება პოეტის სახელობაზე არსებულ ფონდის სასარგებლოთ. სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებენ ი. სარაჯიშვილი და სახაზინო თეატრის არტისტი ქალი შულგინა. ამასთანავე ვრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას „განდეგილზე“.

**✦ შუამდგომლობა.** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა გადასდოს მან ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდან 3,000 მანეთი მთელი მხარის მეურნეობის შესახებ სტატისტიკური მიმოხილვის შესადგენათ.

**✦ სასამართლოში.** 15 ოქტომბერს თფილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის 1 განყოფილებაში დანიშნული იყო გაზ. „გოლოს კავკაზა“-ს რედაქტორის ვ. ვასილიევის საქმე. მას ბრალდება ბეჭვდითი სიტყვის საშვალებით ცილის წამება თფ. სავაჟო 1 გიმნაზიის დირექტორ ი. ე. გამყრელიძეზე. სასამართლომ ვასილიევს ბრალდება მოხსნა, ვინაიდან მან გამოაშკარავა წერილის ავტორის ვინაობა.

**✦ სეტყვა.** თფილისის მაზ. სოფ. პატარძეულში სეტყვას საშინლათ გაუფუჭებია ვენახები. სამაზრო ადმინისტრაციის გამოანგარიშებით ზარალი აღემატება 4,500 მან.

**✦ ლექცია.** ხვალ, დილის $11^1/_2$ ს. სახალხო სახლში ა. ი. ხატისოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საერობო რეფორმა კავკასიაში და საერობო საგუბერნიო თათბირის შედეგები“. ბილეთების ფასი 5—10 კაპ.

**✦ ავლაბრის თეატრი** დღეს, ავლაბრის თეატრში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ჰ. ირეთელის 5 მოქ. დრამა „დამარცხებულნი“.

**✦ სამისიონერო კურსები.** გუშინ, 16 ოქტომბერს, ალექსანდრე ნეველის ეკლესიასთან არსებულ სკოლის შენობაში გაიხსნა უფასო სამისიონერო კურსები. კურსებზე ასწავლიან სექტანტებთან საპოლემიკო მეთოდს. კურსების გამგეთ დაინიშნა მისიონერი ა. პლატონოვი.

**✦ საკონკურსო კომისიის კრება.** ხვალ, 18 ოქტომბერს, მოხდება ქალაქის საკონკურსო კომისიის კრება. კრებამ უნდა აირჩიოს უფროსი ექიმი, მისი თანაშემწე და სხ. მოსამსახურენი არამიანცის სახელზე ახლად გახსნილ ქალაქის საავადმყოფოსთვის.

**✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება დანიშნულია 23 ოქტომბერს. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი თფილისის საბაღოსნო სკოლაში მმართველის დანიშვნის შესახებ.

**✦ „ჯეჯილი“** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ სექტემბრის (მე-9) ნომერი. ჟურნალი ჩვეულებისამებრ საინტერესოთაა შედგენილი.

**✦ „მათრახი და სალამური“.** გამოვიდა იუმორისტულ ჟურნალ „მათრახ სალამურის“ მორიგი ნომერი შემდეგი შინაარსით: „შამფური და წერთები“—კისა, „ეშმაკის ინტერვიუ“, მეგობარს ლექსი ნ. ზომლეთელისა, ახალი ამბები, სუტანია წეროსა—ლექსი განჯისკარელისა, ავათმყოფი—ლექსი იასამანისა, გურული სცენა შხანკალასი, დია ბარათი ბ-ნ ვოდდემარს—ეშმაკისა, მესტვირული, შარადა, ნაკობურგი, ჟესტი ბურჟუაზეს (დასასრული) ვ. მაღაქაშვილისა და სხვ.

—

**შეცდომის გასწორება.** „მომავალის“ მე-41 ნომერში, წერილში—„ფერერის სიკვდილით დასჯა“ სწერია: ევროპის დემოკრატია ზედი-ზედ დემონსტრაციებს ახდენს. აქ გამოტოვებულია აწყობის დროს სიტყვა—სოციალური. უნდა იყოს: ევროპის სოციალური დემოკრატია ზედი-ზედ დემონსტრაციებს ახდენს და სხვ.

## ვინ სტყუის?

(წერილი ოდესიდან).

დასასრული

დგებუაძემ დაამთავრა სათავად-აზნაურო სკოლა თფილისში იმ დროს, როდესაც სკოლას არ ჰქონდა სახელმწიფო გიმნაზიების უფლება—პრივილეგიები. მას არც სახელმწიფო გიმნაზიაში დაუჭერია ეგზამენები სიმწიფის მოწმობის მისაღებათ. მაშასადამე, უნივერსიტეტში იგი ნამდვილ სტუდენტათ ვერ ჩაერიცხებოდა. ასეც იყო: იგი თავისუფალ მსმენელათ იყო 1908 წლამდე, როდესაც პირველათ მიიღო უნივერსიტეტიდან შემწეობა (35 მანეთი და 20). ერთი მიბრძანეთ, მ. ბელქანია, როგორ მოხდა ეს, რომ თავისუფალ მსმენელს შემწეობას აძლევს უნივერსიტეტი მაშინ, როდესაც უნივერსიტ. წესდების 24 მუხლის ძალით თავისუფალ მსმენელნი მოკლებულნი არიან ამ „წყალობას“? რა საბუთის ძალით იყო დგებუაძე დაწერილი სტუდენტათ?... რა საბუთის ძალით? განა აქედან აშკარა არ არის, რა დამოკიდებულება აქვს ამ ზემოთ მოყვანილ ფაქტს დგებუაძის „კავშირში“ ჩაწერასთან?... ნუ თუ აქაც „შეცდომა“ იყო?... მით უფრო აშკარა არის ეს ამბავი, რომ პრორექტორმა (მანკოვსკიმ) ერთხანათ მიმართა ერთ ქართველ სტუდენტს ალ. კვ.—შვილს, რომელსაც საექიმო ფაკულტეტზე გადასვლა სურდა, შემდეგი სიტყვებით: „მომეცით ხელწერილი, რომ თქვენ არავითარ მონაწილეობას არ მიიღებ სტუდენტთა მოძრაობაში, ან საზოგადოებაში, და თქვენ საექიმო ფაკულტეტის სტუდენტი გახდებითო“... მაგრამ იმ დაპირებამ, რომელმაც ასე ადვილათ „შეაცდინა“ დგებუაძე, ვერ შეიყვანა „შეცდომაში“ მეორე თქვენი თანამემამულე.

თქვენი აზრით დგებუაძის მოქმედებაში სრულიად არ ჩანს პროვოკაცია. მაგრამ ერთმა და იმავე დროს ქეშმ. რუსთა „კავშირი“ის წევრობა და ქართველთა წრეებში მონაწილეობის მიღება განა პროვოკაცია არ არის?... ან. დგებუაძე აკვირდებოდა ქართვ. სტუდენტების ცხოვრებას, მათს მოქმედებას უნივერსიტეტში. სად მიდიოდა შემდეგ ყოველივე ეს, —ეს მარტოოდენ გულთამხილავმა უწყის. ნუ თუ დგებუაძის ასეთი საქციელიც „შეცდომით“ არის გამოწვეული? არა, ბ. ბელქანია, ეს წმინდა პროვოკაციაა, და მეც შემეძლო ერთი მეტათ საყურადღებო მაგალითი მომეყვანა ან. დგებუაძის „ცნობის მოყვარეობისა“, რომ სხვადასხვა მიზეზები, რომელნიც თქვენთვის, ბ. ბელქანია, სამწუხაროთ გაუგებარია, არ მიშლიდენ ხელს!... განა აგენტობა არ არის, როცა ან. დგებუაძე „კავშირში იწვევს თავის თანამემამულეს და მრავალ წყალობას პპირდება იმას? ნუ თუ ესეც „შეცდომის“ ბრალია?... რა ადვილი ასახსნელი ყოფილა ყველაფერი! მაგრამ კმარა! განა აშკარა არ არის, ვინ სტყუის? ჩვენ, ოდესის ქართველი სტუდენტები თუ თქვენ, მ. მელქანია?...

სტყუის ბ. ბელქანია, როდესაც ამბობს, თითქო სტ. დიტო ჩ.—ძეს მისთვის და დგებუაძისთვის პასუხი გაეცა „გამგეობის“ წევრთა მეოხებით. მე კატეგორიულათ უარს ვაცხადებ ასეთი ბაასის შესახებ, როდესაც ჩ.—ძე თითქო „გამგეობის სახელით ელაპარაკებოდა ამ ყმაწვილებს. რატომ არ ინება ბ. ბელქანიამ და არ აღნიშნა, ვის ეკუთვნის ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები: „გამგეობის წევრებს“, „გამგეობა და სხვა? ან შეიძლება, ესეც „შეცდომით“ არის?

ბ. ბელქანია უკიჟინებს ქართულ (ზემ-

ნათი (Топливо) და სხვ და სხვ.

შედეგი ყოველივე ამ მზრუნველობის? თვალ წინ აქვს ყველას: ეს უმდიდრესი მხარე დღეს განადგურებულ ქვეყანას წარმოადგენს: წარმოება დაცემულია, ქარხნები იხურება, პოსესიონერები ვალებს ვეღარ აუდიან, მიწები და ქარხნები ბანკებშია დაგირავებული. მოკლეთ რომ მოგახსენოთ, წყალობით ბიუროკრატიისა და პოსესიონერების მეცადინეობით იქამდი მივიდა საქმე, რომ რამდენიმე მილიონი მშრომელი ხალხი იძულებულია ბარგი აიკრას და ბოგანო გახდეს. ეს თვით ტიმირიაზევმა აღიარა დუმის ტრიბუნიდან ამას წინეთ. ერთი სიტყვით, აქაც ჩვენი ნაცნობი სურათია: საკმაო იყო რომელიმე კუთხეს დაპატრონებოდა რუსეთის ბიუროკრატია და მეორე პირი—რუსეთის პრივილეგოსანი წოდება, საკმაო იყო მათ პირი შეეკრათ და ხელი ხელს ჩაეკიდებიათ და ეს უბედური კუთხეც ნადგურდებოდა ყოველ მხრივ და ადგილობრივი მშრომელი ხალხი ბოგანოვდებოდა და გადაშენების გზას ადგებოდა. გუნნების შემოსევის დროიდან დარჩენილია თქმულება: სად გუნნის ცხენის ფოლი მოხვდა, იქ ბალახი ველარ ხარობსო. ასე ითქმის სწორეთ რუსეთის ბიუროკრატიაზე და რუსეთის პარაზიტულ წოდებებზე: რა კუთხეს და ხალხსაც ისინი დაეპატრონენ, იმ ხალხის საქმე დაიღუპა. საზოგადოთ ურალის მდგომარეობა შესანიშნავი მაგალითია. როცა გაიგონოთ: მუშებმა დაგვღუპა, მუშებმა მოგვინელა, მუშებმა შეაჩერა რუსეთში, წარმოება შეაფერხა მრეწველობა და სხვა ასეთები. ხელი ჩაჰკიდეთ ამის მთქმელს და დააკვირვეთ ურალის მხრის ავ-კარგს? საკმაოა ეს ქნათ, რომ პირში ენა ჩაუგდოთ მათ, ვინც ქვეყნის დაქცევა-გაკოტრებას მუშებს აბრალებს.

ჩვენ კი გვინდა ამ კითხვის დროს ბიუროკრატიას გაუთვალისწინოთ მისი ნამოქმედარი. თანაც ვიტყვით: იცოდეს მან, რომ მისი ასეთი მოქმედება ვერ უწყობს ხელს რუსეთში მშვიდობიან განვითარებას. პირ იქით, ის ასეთი მოქმედებით ასაფეთქებელ ნივთიერებას ამზადებს მხოლოდ, სხვას არაფერს. აქაც შეკითხვა არ ჩაივლის სულ ამაოთ.

—

გარდა ნათქვამისა ფრაქციამ იმსჯელა შემდეგზე: გაიხსნება თუ სათათბირო, სხდომას გამართავს სენიორენ—კონვენტი. მან უნდა შეიმუშაოს გეგმა სათათბირო მუშაობისა მომავალ სესიაში.

დღემდის ჩვენ გაგონილი გვაქვს ოქტომბრისტების აზრი, თუ რადარა კანონ-პროექტებს შეიტანენ ისინი სახელმწიფო სათათბიროში. ერთის აზრით ყველაზე უფრო საჭირო და საჩქარო კანონ-პროექტია თევზის ჭერის შესახებ.

თქვენ იცით, რომ დუმის მუშათა საკითხების კომისია აგერ ორი წელია რაც ატრიალებს კანონ-პროექტს მუშების უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის შესახებ, არ იქნა, ვერ მოუღო ბოლო კომისიამ ამ საკითხს. ბოლოს ხმა ამაღლა პრესაში კომისიის თავმჯდომარემ ტიზენგაუზენმა. შეიძლება იკითხოთ რა კაცია, ვინ არი ეს ბარონი ტიზენგაუზენი? ეს გახლავს მოსკოვის გუბერნიის დეპუტატი, დირექტორი სერპუხოვის მანუფაქტურული ფაბრიკის. ადვილათ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა იქნება ის კანონ-პროექტი მუშების შესახებ, რომელმაც უნდა გაიაროს ტიზენგაუზენის ხელში, ესე იგი, ისეთი კაცის ხელში, რომელსაც შესისხლ-ხორცებული აქვს ტაქტიკა და თეორია რუსეთის ბურჟუაზიის. ხომ იცით, რომ რუსეთზე უფრო ველური და გატაცებული ბურჟუაზია ახლა მეორე არსად მოიძებნება. მტაცებლური ექსპლოატაცია—აი მისი დევიზი წარმოებაში. არავითარი შემოქმედებითი ძალა, არავითარი პროგრესი საწარმოვო იარაღისა მას არ სწამს. მან იცის, რომ ყველაფერს სჯობია იაფი მუშა. ეს არის ნამდვილი, საუკეთესო, წყარო ზედმეტი ღირებულების. ამიტომაც პირველი სანატრო რუსის კაპიტალისტის არის გაუნათლებელი, უკულტურო მუშა, რომლის მოთხოვნილება მინიმალურია: ასეთი მუშა ცოტა ხელფასს დაჯერდება. აქას ვერ გასცილებია რუსის კაპიტალისტის წარმოების ფილოსოფია. ასეთივე შეხედულების იყო მისი მამა, ბაბუა და პაპა. რუსის კაპიტალისტი კი არ ქმნის, ის ანგრევს, ახდენს ქვეყნის სიმდიდრეს. რუსეთის კაპიტალისტი მუშასაც და ბუნებასაც ერთგვარათ უყურებს: რაც შეიძლება იაფათ და ველურათ ისარგებლოს მიწის სიმდიდრით და მუშის ძალით. სწორეთ ასე აგვიწერს მარქსი ბურჟუაზიის მისიას, როცა ის პირველათ გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე, ის ამ დროს სავსეა ენერგიით, ინიციატივით, მოქალაქობრივი გამბედაობით, შემოქმედებითი ძალით; მისი შემოქმედებითი მუშაობა აჰაყოფიერებს შრომას, აჰაყოფიერებს ბუნებას, ავითარებს საწარმოვო ძალას. ეს არის სიჭაბუკის ხანა. ამ დროს ბურჟუაზია საკვირველათ მოქმედებდა, ახლა მას დამბლა აქვს დაცემული და მოხუცებულობის კვნესა ასტეხა. რუსეთის ბურჟუაზია კი თავიდან უვიცი, უდიერი, ტლანქი, მოუხეშავი და ბლაგვი იყო და არის დღესაც. ის ნამდვილი პარაზიტია და როგორც სოციალური კლასი, ბევრით არ განირჩევა რუსეთის თავად-აზნაურობისაგან. დახმარება, სუბსიდია, პრემია, უშვილებელი ბაჟები, პოლიცია და მათრახი,—ყოველივე ეს აუცილებლათ საჭიროა, რომ სული ედგას რუსეთის ბურჟუაზიას

არავითარი სოციალ-პოლიტიკური პერსპექტივა, როგორც კლასს, მას არ აქვს: ის წარმოების საქმეში ცხოვრობს დღიდან დღეზე. მას ვერ წარმოუდგენია, რომ წარმოების განვითარებისათვის საჭიროა, რომ მშრომელი ხალხი კულტურულათ მაღლა იდგეს, რომ მისი მოთხოვნილება დღითი დღე იზრდებოდეს, მას გონია, რომ ეს დაღუპავს კაპიტალისტებს, ვაჭრობას, წარმოებას. ამიტომაა, რომ რუსეთის მრეწველებს ასე ეშინიათ ყველაფრის, რაც ხელს უწყობს მუშის ყოფის გაუმჯობესებას. ყოველი პროფესიონალური კავშირის დაღუპვაგაუქმებას აღტაცებაში მოყავს „ხაზინები“, კლუბის გახსნა, სადაც მუშები შეისწავლიან ცოტა რამეს, შიშის ზარს სცემს გულში ლახვრათ ესობა რუსის ბურჟუას; მუშის ხელში წიგნი მას ყუმბარა გონია, თვალს არიდებს, პირჯვარს იწერს და „წმიდა არს, წმიდა არს“ იძახის. ასეთია რუსეთის კაპიტალისტი. რაც შეეხება მოთხოვნილებას მუშებისადმი, ეს —მას კითხეთ. ის უპირველესათ ყოვლისა მოითხოვს, რომ მუშები მოთმინებით იმყოფებოდენ და მორჩილებით ელოდენ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობას; ის მოითხოვს, რომ რუსეთის მუშებმა სხვა მუშებს, დასავლეთ ევროპისას ან ამერიკისას არ მიბაძონ. ის მოითხოვს, რომ ჩვენებურმა მუშამ ჯერ დაგვაცალოს, რომ კარგათ გავმდიდრდეთო და როცა კარგათ გავიტენით ჯიბეებს, მაშინ ხომ მუშაზედაც ვიფიქრებთო.

ასეთი კლასის ტიპიური წარმომადგენელია ბარონი ტიზენგაუზენი. ის სავაჭრო-სამრეწველო გაზეთში «Торгово-промышленная газета» ამტკიცებდა, რომ დაზღვევა მუშის „სულს რყვნისო“. ბარონზე კიდევ უარესია მუშათა საკითხების კომისიის სხვა წევრები. ამიტომაცაა, რომ ზემოხსენებულ კანონ-პროექტს აღარაფერი ეშველა. წელსაც, როგორც სჩანს, ეს კანონ-პროექტი ვერ იხილავს სინათლეს. ამიტომაც ფრაქციამ დაადგინა: დაევალოს ფრაქციის წარმომადგენელს, რომ მოითხოვოს სენიორენ-კონვენტში, რათა აუცილებლათ შემოტანილ იქნეს სათათბიროში კანონ-პროექტი მუშათა დაზღვევის შესახებ.

გარდა ამისა ფრაქციამ დაავალა იმავე პირს მოითხოვოს დაჩქარება კანონ-პროექტის გარჩევა კავკასიის დროებით ვალდებულ-გლეხთა შესახებ.

ამით გათავდა ფრაქციის პირველი სხდომა.

**კ. ჩხეიძე.**

პეტერბურგი, 26 სექტემბერი.

ლიაჩესტვოს“(?) და ბ. ზინაურს, არ იცით რა ტიპია ბ. ს—ძე, ან როგორი უპატიოსნო თამაშით გაძარცვეს ქართვ. სტუდენტებმა (sic) გემ. „ნიკოლოზ“-ზე კნზ. მ.—ი?! და ის დასკვნა გამოჰყავს რომ თუ მაინც და მაინც ან. დგებუაძის საქმეს მიაქციეს ასეთი ყურადღება, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ დგებუაძის ფიზიონომია არ მოსწონებია ქართვ. სტუდენტებს. სასაცილო უბადრუკობაა! რა შუაშია აქ ფიზიონომია, როდესაც თვით საქმე თხოულობდა იმ ზომებს, რომელსაც მიმართა ქართვ. სტუდენტობამ ამ დროს? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბ. მელქანია, რომ თქვენც ასევე მოგეპყრობიან, თუ, რა თქმა უნდა, ფაქტები ექნათ ხელში!... რაც შეეხება ამ საყვედურს, გეტყვით, რომ ყოველივე ზემო ჩამოთვლილი საძაგლობა არა ერთხელ აღნიშნული გაზეთებში, როდესაც ლაპარაკი ჩვენი სტუდენტობის შესახებ ყოფილა ხოლმე. ძლიერ ვწუხვართ, თუ ადესის ქართველმა სტუდენტობამ თავის დროს ვერ დაგმო ეს არამზადული, სტუდენტის შეუფერებელი, საქმე-საგმირო, რომელიც ბ. ზინაურს, შეიძლება, არც კი სცოდნოდა. და თუ აქაურმა სტუდენტობამ (ქართველმა) მეტი ყურადღება მიაქცია დგებუაძის საქმეს, ეს იმიტომ მოხდა, რომ ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იყო.

დასასრულ, არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა ბ. ბელქანიას წერილების ხასიათის შესახებ. დგებუაძე გაცილებით კეთილშობილურათ მოიქცა, (არ ვიცით, რას მიეწერება ეს?) როდესაც ხმამაღლა განაცხადა სასამართლოში, არავითარი „ზემლიაჩესტვო“ არ არსებობს ქართვ. სტუდენტებისო. თქვენ კი, ბ. ბელქანია, სისტემატიურათ მეტათ გულახდილათ ატარებთ იმ აზრს, რომ „ზემლიაჩესტვო“ არსებობს, რომ მას ჰყავს გამგეობა და აქვე ასახელებთ გამგეობის „წევრებს“! და რომ ამას განზრახ ჩადიხართ, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა: ასეა თუ ისე, ის კი აშკარა არის, რომ თქვენ წერილებს მეტათ პროვოკატორული სუნი უდის. გონს მოდით, არას ვამბობ თქვენი წერილების კილოზე და თვალ-მარგალიტებზე. თქვენ ყველგან ავათმყოფები, ნერვებ-მოშლილები გეჩვენებათ და ლანძღვა-გინებით გსურთ მათი ექიმობა.

ყვინჩილა.

—

P. S. რით აიხსნება „ივერიის“ საქციელი, რომ რედაქცია სრულიად უშენიშვნოთ ბეჭდავს აშკარა საპროვოკატორო წერილს? თუ „ივერია“ და მისი სულის ჩამდგმელი ჭეშმარიტი ანგარიშს აძლევს საზოგადოებრივ მოვლენებს, თვალ-ყურს ადევნებს საზოგადოებრივ აზრს, მას არ უნდა გაეშვა ისეთი წერილი, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება ამ აზრს და ამასთანავე პროვოკაციის სუნიც უდის. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბ. ბელქნიამ აღიარა დგებუაძის „კავშირში“ წევრობა, რაც ამ საქმეს ნათელი მოფინა მრავალი წერილებით ჩვენს გაზეთებში. ბ. ბელქანის ლანძღვა-გინებით სავსე წერილის დაბეჭვდა აიხსნება მხოლოდ იმითი, რომ „ივერიის“ მეორშაბათე ან პოლემიკის ჟინით არის გატაცებული, ან უხვათ სურს შაურიანების მოხვეჭა. ორივე შემთხვევაში „ივერიის“ მესვეურის სალიტერატურო მოღვაწეობა მეტათ საეჭვო ღირსების ხდება.

ყვინჩილა.

# პროვინცია

—

**ბანძა.** (სამეგრელო) ძლიერ შეწუხებული ვიყავით უგზობით, მაგრამ თავს არავინ იწუხებდა მის შეკეთებაზე. გლეხები გაიძახოდენ რატომ მარტო ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, აზნაურებსაც ხომ უნდათ გზები რატომ ისინი არ ამუშავებენ მაგრამ გლეხების სიტყვამ ვერ გასჭრა და პოლიციამ გამორეკა სამუშაოთ და თითების, გაფუჭებული გზები, სულ გააკეთეს. გლეხებმა თხოვნით მიმართეს გუბერნატორს „თავად-აზნაურების კარებზე მიმავალი გზები ჩვენ გაგვაკეთებინეს და თვითონ კი ბრწყინვალე წოდებას ხელიც არ გაუნძრევია და თუ კია სადმე კანონი, გთხოვთ მიაქციოთ ამ საქმეს ყურადღებაო“ გუბერნატორს ეს თხოვნა მაზრის უფროსისთვის გამოუგზავნა და მაზრის უფროსმა ბოქაულს გამოუგზავნია, რომ გამოეკვლია რაში იყო საქმე და თავის აზრიც წარმოედგინა. ბოქაულმა მოახდინა გლეხების და თავად-აზნაურების ყრილობა და მიმართა გლეხებს შემდეგი სიტყვებით: თქვენ გუბერნატორისთვის თხოვნა მიგიციათ გზის შესახებ, სადაც ამბობთ სასოფლო გზებს მარტო ჩვენ ვაკეთებთ და თანახმათ თქვენი ცირკულიარისა“ გთხოვთ ყურადღება მოგვაქციოთო. მე უნდა გითხრათ, ასეთი „ცირკულიარი“ არ არსებობს და თუა გთხოვთ წარმომიდგინოთ. სასოფლო გზებისთვის საკეთებლათ თქვენთვის დაუტანებია ძალა, არამედ აკეთებდით „საერთო“ გზას (?) და მე ასე უნდა მივწერო მაზრის უფროსსო. გლეხებმა მოისმინეს რა ეს მოითხოვეს გუბერნ. ქაღალდის პირი, ბოქაულმა აღუთქვა შემდეგ გადმოგცემთო.

შემდეგ ბოქაულმა მიმართა თავად-აზნაურობას: „როგორც თვითონ თქვენ ხედავთ გლეხები გიჩივიან: გზებს არ აკეთებენ და ამაზე რას იტყვით? გთხოვთ მოილაპარაკოთ და გადმომცემთო“. თავად-აზნაურობიდანაც ზოგიერთებმა განაცხადეს ეს „ცირკულიარი“ არსებობს, და ძალაუნებურათ მოგვიხდება გზის გაკეთებაო. ამ დროს გამოდის ანდრია გაბუნია და ლაპარაკობს: არავითარი ასეთი „ცირკულიარი“ არ არსებობს და რომ არსებობდეს თავად-აზნაურებს თავის დღეში არ გაგვიკეთებია გზები და არც ახლა გავაკეთებთო. დიდი კამათის შემდეგ დაადგინეს: მოხსენდეს გუბერნატორს, რომ სასოფლო გზას, რომელიც ჩვენს კარზე გადის ვაკეთებდით, რაც შეეხება საერთო გზას (шосейная дорога) ვერ ვიკისრებთ მის გაკეთებასო.

გლეხებმა კი დაადგინეს, ხელ-ახლა აღძრან კითხვა გუბერნატორთან.

მე გარ ნაჟ.

—

**ფოთი.** ფინანსთა მინისტრმა ნება დართო გაიხსნას ფოთში ქალაქის საზოგადო ბანკი.

— ქუთაისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ფოთის ქალაქის საბჭოს დაუთმოს თავისუფალი ადგილი ახალი სტუსადოს შენობის ასაგებათ. საბჭო მომავალ სხდომაზე განიხილავს ამ წინადადებას.

— 10 ოქტომბერს მოხდა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კრება. კრებამ გამოიმუშავა გეგმა თუ როგორ მოეწყოს პირველდ დაწყებითი კურსები მუშებისთვის და მსურველთათვის. განზრახულია პირველათ სამ ჯგუფათ დაყოფა მსურველების. ახლო მომავალში შეუდგებიან მეცადინეობას.

— როგორც გადმოგვცეს საქალაქო სასწავლებლიდან დაუთხოვიათ მე-6 კლასის ორი მოწაფე: კალანდარიშვილი და დოლია. როგორც ამბობენ მიზეზათ ასახელებენ გადაყვანილ მასწავლებელ კოტეროვის ნებადაურთველათ გაცილებას და სწავლის დროს ამის გამო გაკვეთილების გაშვებას.

—

**ოზურგეთი.** როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, ამას წინათ ქალაქის თავის ბებურიშვილის მიერ აღძრული შუამდგომლობა ქალაქის ავთიაქის გახსნის შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრს უყურადღებოთ დაუტოვებია.

— სათანადო მთავრობამ უკვე დაამტკიცა ახალი ნიხრი სასაკლაოზე დაკლულ საქონელზე, რომელიც ამას წინათ შეიმუშავა ქალაქის გამგეობამ. მაგალ. თითოეულ დაკლულ კამეჩში 1 მ. 50 კ.; ხარში 1 მ. 20 კ.; ძროხაში 80 კ.; წვრილფეხა საქონელში—თხა, ღორი და ცხვარი 20 კ. ხსენებულ ნიხრს შემოიღებენ მომავალ 1910 წლიდან.

— ამას წინათ დამტკიცებული, ქალაქის თვითმართველობის ხმოსანი, სიმონ ჭყონია 12 ოქტომბერს უკვე განთავისუფლეს.

—

**ლეჩხუმი.** ლაილაშის საზოგადოებამ თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა კულტურისაკენ. 9 სექტემბერს ლაილაშის საზოგადოების ერთობას ადგილობრივ ერთკლასიან შკოლის ზედამხედველმა ნ. კოკზირიძემ წინადადება მისცა, რომ ეს შკოლა გადაკეთებინათ ორკლასიან ნორმალურ შკოლათ, რისთვისაც საჭიროა ერთ დროულათ 1000 მან. ხალხმა პირველათ იუცხოვა ასეთი კეთილი რჩევა, მაგრამ როდესაც საფუძვლიანათ აუხსნეს სწავლა-განათლების სარგებლობა, სიამოვნებით დათანხმდა და შესაფერი პროტოკოლიც დაადგინა. შიგა და შიგ კვლავ გამოერიენ იმ ჯურის პირები, რომლებიც დაჩვეულნი არიან მღვრიე წყალში თევზის ჭერას და წინააღმდეგნი არიან სინათლისა, და მოინდომეს ამ კეთილ საქმის ჩაშლა, მაგრამ ვერას გახდენ და კუდ ამოძუებულნი პირშავათ დამარცხდენ. ამ „შავ ჯგუფს“, როგორც ყოველთვის, ეხლაც მეთაურობდა ი. ჯაპარია და მისმა საქციელმა ადგილობრივი ბოქაული ბ. კოშელნიკოვიც ისე გააბრაზა, რომ არავითარი შეურაცხყოფა, გარდა ცემისა მისთვის არ დაუკლია, მაგრამ რკინის შუბლს რა გააწითლებს?..

მაშინ, როდესაც ნივთიერათ და გონებრივათ დაქვეითებული გლეხკაცობა კიდევ ეწევა ჭაპანს კულტურულ საქმისთვის,—ის წოდება, რომელსაც შეგნება, ქონება და პოლიტიკური უფლება ხელთ უპყრია, დინჯათ, მშრომელგულურათ სდუმს, არავითარ ქონებრივს და ზნეობრივს მაგალითს არ იძლევა, პირიქით ხელის შემშლელიცაა ყოველგვარ წინსვლისა და ყოველსავე ამგვარს ირონიით უყურებს.

ლეონიდე.

# თეატრი და ხელოვნება

—

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 17 ოქტ. წარმოდგენილ იქმნა სარდუსის პიესა „აი გიდი მეგობრებო“!

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ბ. დ. მგალობლიშვილი, რომელიც დღეს პირველათ გამოვიდა ქართულ სცენაზე. საზოგადოთ ძნელია გადაწყვეტილი აზრი გამოსთქვა დებიუტანტზე ერთი ან ორი წარმოდგენის შთაბეჭდილების მიხედვით. ამ სიძნელეს ამ შემთხვევაში ზედ კიდევ ის უნდა დავუმატოთ, რომ ბ. მგალობლიშვილის (მორისი) როლი არ იყო „საეგზამენო“ როლი, ბ. მგალობლიშვილი სცენაზე უხერხულათ გრძნობს თავს, რაც თითქმის ყველა დებიუტანტის სენია პირველ ხანებში. ერთხელ მიღებული პოზიდან გამოსვლა უჭირს, მიუხედავათ იმისა, რომ მორისის როლი განუწყვეტელი ცვალებადი მდგომარეობიდან შედგება. მიხრა-მოხრა მოუხეშავი და ულამაზო აქვს. სიტყვების გამოთქმა სუსტი აქვს. გადაბმული საუბრის დროს ხმის გამოცვლა, წინადადებაში საჭირო სიტყვაზე ხმის ამაღლება არ ემჩნევა, ისეთ ადგილებს, სადაც ალტყინებული გრძნობის გამოხატვაა საჭირო, ის მკრთალია. ყოველივე ეს ადვილი გასასწორებელია, თუ ბ. მგალობლიშვილი სცენისადმი საკმარის სიყვარულს და საქმისათვის საჭირო ენერგიას არ დაიშურებს.

კარგები იყვნენ ბბ. კ. მესხი (ტონან) და ვ. აბაშიძე (მარეკა). რიგიანათ ჩაატარეს თავიანთი როლები ინისეს ბ. გედევანოვმა (კოსსადი) და ქ. კარგარეთელმა (სერელი). სხვებიც ანსამბლს ხელს უწყობდენ. ხალხი წარმოდგენას ძალიან ცოტა დაესწრო და ისიც ნახევარი საათით გვიან მოვიდა. უდროვო დროს გასვლა-შემოსვლა, სხვისი ადგილების დაჭერა და სხვა ასეთები ძალიან უშლის ხელს წარმოდგენის სასურველათ ჩატარებას. საჭიროა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ასეთ არასასურველ მოვლენას.

—

**ზუბალაშვილების სახალხო სახლი.** ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, წარმოდგენილ იქნა „სამხედრო ბანაკში“; დრამა 4 მოქმ. თარგმ. იმ—შვილისა.

ეს დრამა გასულ სეზონშიაც დადგეს სახალხო სახლში, ამიტომ მისი შინაარსის მოყვანა ზედ მეტათ მიგვაჩნია.

წინათაც და ახლაც ფონ-ლოუფენის როლში გამოვიდა ბ. მეტრეველი, რომელმაც ახლა გაცილებით უკეთ ჩაატარა თავისი როლი, ვინემ წინეთ. ეტყობოდა მას როლი დაეძლია და რამდენათაც კი ეს შესაძლებელია სცენის მოყვარისაგან—კიდევაც შესაფერათ ჩაატარა.

ფონ-გენის როლს ასრულებდა ბ. ირემაძე. მას სცენაზე თავი ისე თავისუფლად უჭირავს, მიხვრა-მოხვრაც ისეთი აქვს, რომ ვერც კი შეატყობთ თუ პირველათ გამოდის სცენაზე. შეუჩვეველი ტანისამოსი ცოტა არ იყოს ეხამუშებოდა, მაგრამ წინათ დადგმულ ამავე როლის შემსრულებელთან შედარებით ის ძალიან მაღლა იდგა.

კლარას როლში ამ ხელათ გამოვიდა ქ. საგინაშვილი. მეორე მოქმედებაში მან კარგათ ჩაატარა სცენა ფ.-ლაუფენთან. სამაგიეროთ ორ უკანასკნელ მოქმედებაში ის სუსტი იყო. ეს მოქმედებები მისი როლისთვის საკმაოთ დრამატიულია, დრამატიული როლები კი სულ არ არის მისი ამპლუა.

კარგები იყვნენ ბ. ბ. გოკიელიძე და ი. რამანიშვილი. მათი სახის გამომეტყველება, თითქმის ყოველი სიტყვა, მიხვრა-მოხვრა—საზოგადოებაში გულიან ხარხარს იწვევდა. ბ. ზუბაბიშვილი (ვახმისტრი) განსაკუთრებით კარგი იყო უკანასკნელ მოქმედებაში. საერთო ანსამბლი, ზოგიერთი მეორე და მესამე ხარისხოვან როლების აღმსრულებელთაგან ხშირათ ირღვეოდა. პირველმა მოქმედებამ საერთოთ ზანტათ და უხალისოთ ჩაიარა.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენის რიგიანათ ჩატარებას ძალიან უშლის ხელს ზოგიერთი დამსწრების თავშეუკავლობა. უდროვო დროს ხან ერთი, ხან მეორე რაც ძალი და ღონე აქვს დაიყვირებს: „ჩუმათ“, „ხმა-მაღლა“ და სხვა ასეთებს. როცა კლარას ფონ-ლაუფენთან გელ-ბიგი მოასწრებს—რამდენიმე ხმამ ერთად მიაძახა კლარას: „არიქა გაიქეცი“, „დაიმალე“, „მოვიდა, მოვიდაო“. დამსწრენის ასეთი საქციელი ერთი მხრით წარმოდგენას სასურველათ ჩაატარებს, ხოლო მეორე მხრით იმათ, ვისაც პიესის თვალ-ყურის დევნება უნდა, ძაან უშლის ხელს. მესამე მხრით კიდევ ამტკიცებს... საჭიროა ასეთმა პირებმა ისწავლონ თეატრში თავის დაჭერა.

წარმოდგენას ხალხი შედარებით ნაკლები დაესწრო.

№

## წერილები რედაქციის მიმართ

—

გაზ. „მომავალ“-ში დაბეჭდილია წერილი სათაურით: „გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ გამომცემლობა და მათი (?) ასოთ-ამწყობები“.

თვით ამ წერილის პასუხათ ბევრი რამ არ ითქმის ჩემის მხრივ, გარდა იმისა, რომ დაგანახვო ასოთ-ამწყობთ, რამდენათ მართალნი არიან და რამდენათ საბუთიანია მათი ბოდება ანუ თავის მართლება გაზეთში დაბეჭდილ წერილის საშუალებით. ეს სულ ადვილი საქმეა. ამას დაგვანახვებს რედაქციის წიგნი. „მარტიდან სექტემბრამდე,—სწერენ ასოთ-ამწყობნი,—არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მუშებს ხვედრი ფული მიეღოთ თავის დროზე“. რამდენათ მართალია ეს? გადავშალოთ წიგნი და წავიკითხოთ თვით ასოთ-ამწყობთაგან ხელმოწერილი და დამოწმებული.

მუშაობა დაიწყო 12 მარტს. იმავე დღიდან იწყეს ასოთ-ამწყობებმა ფულის მიღება და 22 მარტამდე უკვე მიღებული ჰქონდათ 69 მ. 10 კ. (საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ გაზეთზე მუშაობდა 6 კაცი, თვეში 210 მანეთათ) 22 მარტიდან 27 მარტამდე მიღებული ქონდათ ასოთ-ამწყობთ კიდევ 56 მ. 50 კ. ამგვარათ მარტის მუშაობის ხვედრი ფული მიღებული ქონდათ 27 მარტამდე.

18 აპრილის თარიღით სწერია: 15 აპრილამდე ხვედრი ფული მივიღეთ სრულად და ზედმეტი 3 მ. ასოთ-ამწყობებს ფული უნდა მიეღოთ ამის შემდეგ მხოლოდ 1 მაისს, მაგრამ ჯერ ისევ 25 აპრილის თარიღით სწერია მიღებულათ 40 მ. 6 მაისის თარიღით სწერია: აპრილის ფული 66 მ. 70 კ. მივიღეთ სრულიად 27 მარტამდე წინდაწინ, აპრილის ფული აპრილში ნაწილ-ნაწილათ, მათის მოთხოვნილებისა და სურვილისამებრ და სრული ანგარიში აპრილისა 6 მაისამდე. მაისის ხვედრ ფულს დებულობდენ მაისშივე. ივნისის ხვედრი ფული სრულიად ქონდათ მიღებული 8 ივლისამდე და 8 ივლისს მიიღეს კიდევ ზედმეტი 35 მ. ივლისის ანგარიშში. და მაინც ამბობენ: „არც ერთი შემთხვევა არა ყოფილა, რომ დროზე ფული მიგვეღოსო! ზემოხსენებულ 35 მანეთის 8 ივლისს მიღების ამბავი მეტათ საყურადღებოა. ოთხშაბათს, 1 ივლისს არ ქონდა ფული. ისინი დათანხმდენ მოეცადათ შაბათამდე, 4 ივლისამდე. შაბათს, 4 ივლისს, ზოგიერთ ფორმალურ მიზეზების გამო ბანკიდან მიღებული ფული ვერ მივიღე და ვთხოვე ასოთ-ამწყობებს მოეცადათ ერთი დღე, მაგრამ უარი მივიღე. მაშინ ასოთ-ამწყობთ მიმართა ლავრენტი ტუღუშმა თხოვნით. მათ დაუდეს ლავრენტი ტუღუშს პირობა: მოგვეცი პატიოსანი სიტყვა და ფიცი, რომ ოთხშაბათს, 8 ივლისამდე უეჭველათ მოგცემს ნიკიტინი ხვედრ ფულს სრულიად და კიდევ ავანსათ 50 მ., რადგანაც ზოგ ჩვენგანს სოფლათ უნდა წასვლა და ეს ფული უეჭველათ გვინდაო. და ვიდრე ლავრენტი ტუღუშმა ასეთი ფიცი არ მისცა შუა კაცის თანადასწრებით, კვირის აწყობილი ნომერი არ დაბეჭდილა. 8 ივლისს მიიღეს ივნისის ფული სრულიად და კიდევ 35 მან. ეს პირველი შეჩერება გაზეთს ასცდა, როგორც იყო.

მეორე შეჩერება მალე მოყვა სრულიად უმიზეზოთ. ივლისის ჯამაგირი ჩვეულებრივ ნაწილ ნაწილათ წაიღეს და 1 აგვისტოს ერგებოდათ 8 მ. და 80 კაპ. ერთ ასოთ-ამწყობს ავანსათ ქონდა წაღებული 14 თუ 15 მ. სამშაბათს. თითო-ოროლა მანეთს ვურიცხავდით და დარჩენილი იყო მაზე 8 მანეთი. მეტრამპაჟმა გადაწყვიტა, რომ ამ ასოთ-ამწყობს ხვედრი ფული ივლისისა სრულიად აქვს მიღებული და [illegible] და მოითხოვა დაყენებით ეს 8 მ. და 80 კაპ. კიდევ მისტოვეს აწყობილი ნომერი: სანამ ამ ფულს არ მოგვცემთ, ნომერი არ გამოვაო. სანამ ლავრენტი ტუღუშმა ეს ფული არ მისცა, გაზეთი არ დაიბეჭდა.

აგვისტოს ფულის მიღება დაუგვიანდათ ოთხ დღეს. მეხუთე დღეს გაზეთი ააწყვეს და არ დაბეჭდეს.—ეხლა კი არაფრის გულისთვის არ დავბეჭდავთ გაზეთსაო, ბძანეს და შეაჩერეს. და ეხლა ნიშნის მოსაგებათ სწერენ. „ასე დასრულდა გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის გამომცემლობა“-ო.

ხვედრი ფული მივიღეთ, მაგრამ სავსებით არაო. საკვირველია: 5 სექტემბრამდე რაც ფული ერგებოდათ, სრულად მიიღეს, ხელიც მოაწერეს (ეგოროვმა, მგელაძემ, ბოლქვაძემ) და მაინც სწერენ: „სავსებით არ მიგვიღიაო“.

5 სექტემბერს მუშაობა შესწყვიტეს, როგორც თვით ასოთ-ამწყობებმა სთქვეს შემდეგ, ერთის ხმის უმეტესობით. ორი ასოთ-ამწყობი ამბობდა: მოვიცადოთ, გაზეთს ნუ გავაჩერებთ; ორი იმ აზრისა იყო გავაჩეროთო, რუსი ეგოროვი ხშირად ამბობდა, მე უმრავლესობას ვემხრობიო, მაგრამ ეხლა ისიც მხოლოდ ორმა მიიმხრო. ყარეს კენჭი და გააჩერეს „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ გამოცემა.

რადა ბევრი გავაგრძელოთ? სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ასოთ-ამწყობნი თითონვე გრძნობენ ეხლა, რომ გაზეთის შეჩერება საჭირო არ იყო მათთვის, რადგან უფრო ადვილად მიიღებდნენ და უფრო ადრე ხვედრ ფულს და სამუშაოც ექნებოდათ. ჩემი აზრით სწორეთ ამ გრძნობით არის გამოწვეული „მომავალში“ დაბეჭდილი მათი წერილი, რომლითაც ასოთ-ამწყობნი თავს იმართლებენ. მაგრამ ვისთვის, ან რისთვის არის საჭირო ეს თავის გამართლება? ასოთ-ამწყობებმა მარტიდან სექტემბრამდე იმუშავეს, ხვედრი ფული მუშაობისა, თუ გინდ ზოგჯერ დაგვიანებულად, წაიღეს, გაზეთი კი დაღუპეს და ჩემი და ტუღუშის მეცადინეობა და შრომა წყალს გაატანეს. ასოთ-ამწყობთა წერილში ნათქვამია: როდესაც გაზეთს ვაჩერებდით ხოლმე, ტუღუში ხვეწნას დაგვიწყებდა: ნუ დამღუპავთო მალე ნ. ნიკოლაძე ჩამოვა, მისი დახმარებით ამხანაგობა შესდგება, გაზეთის ფორმატი გადიდდება და თქვენი მდგომარეობაც შეიცვლებაო. დიახ ტუღუში სულ სიმართლეს ეუბნებოდა ასოთ-ამწყობებს, მაგრამ იმათ, თითქოს იმიტომ შეაჩერეს გაზეთის გამოცემა, რომ მართლა არ შემდგარიყო ამხანაგობა და ძლიერ კაპიტალისტთან არა ჰქონოდათ საქმე. კაპიტალისტი განა ნებას მისცემდა ასოთ-ამწყობებს 16 სვეტის მაგიერათ გაზეთისთვის 12 სვეტი აეწყოთ დღეში, კორექტურა გაუსწორებელი დაეტოვებინათ, ფასიანი განცხადება დროზე არ დაებეჭდათ, ასაწყობი მასალა გადაეკეთათ და დაეკარგათ სტამბაში სილებით დაესაბუთებინათ ერთმანეთისთვის თვისი სიმართლე ყოველ დღე ფული მოეთხოვათ და ყოველ დღე დაეტანჯათ მუქარით: დღესვე ფული მოგვეცი თორემ გაზეთს შევაჩერებთო. ამ გვარ მუქარითა, მოგეხსენებათ, კაპიტალისტს არ ეშინიან და არც ხვეწნას დაუწყებს ასოთ-ამწყობს, თქვენ გენაცვალეთ, ნუ დამღუპავთო და თუ ლავრენტი ტუღუში ზოგჯერ მართლა თხოვნით მიმართავდა ხოლმე ასოთ-ამწყობებს, გაზეთს ნუ გააჩერებთ, მე ვარ თავდები, რომ ფულს მიიღებთ, თუ ნიკიტინმა არ მოგცათო, ამას იმიტომ ჩადიოდა, რომ სურდა თითონაც ჰქონოდა სამუშაო და სხვასაც.

დასასრულ ამას ვიტყვი: თუმცა ასოთ-ამწყობებმა ჩემი გაზეთი გააჩერეს, მაგრამ მე მაინც პოლემიკისთვის არა მცალიან. ამის შემდეგ ასოთ-ამწყობებს წერილზე პასუხს არ გავცემ და თუ მაინც თავიანთი თავი მართლად მიაჩნიათ და ფიქრობენ მე გამამტყუნონ ამ საქმეში, ვიწვევ მათ ყველას სამედიატორო სამართალში, რომლის დადგენილებასაც დავემორჩილები. ვთხოვ წერილის ავტორებს ასოთ-ამწყობებს მიპასუხონ: თანახმანი არიან თუ არა სამედიატორო სამართალზე?

ალ. ნიკიტინი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

ექიმი
პ. არდაზიანი
ბავშვების და შინაგანი ავათმყოფ.
კუთხე მელიქოვისა და ალექსანდროვის ქუჩისა ინტენდანსტვოს პირდაპირ. მე-9 უჩასტკა: დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდის.
Угол Меликовской и Александровской ул.

სტამბა ამხ. „შრომა“. რუსის ქ. № 3